პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 47-ე წელი
№ 147 (13541) | სამშაბათი, 28 ივნისი, 1966 წ. | ფასი 2 კაპ.

შესრულდა ნახევარი წლის პროგრამა

შრომითი-ეკონომიური

კარგი შრომითი მაჩვენებლებით აღნიშნა ხუთწლედის პირველი წელი რესპუბლიკის მრეწველობამ. მან 27 ივნისისათვის შეასრულა მთლიანი პროდუქციის გამოშვების ნახევარი წლის პროგრამა. თვის დამლევამდე დავალების გადამეტებით იქნება გამოშვებული რამდენიმე ათეული მილიონი მანეთის პროდუქცია.

მთლიანად და გადაჭარბებით სრულდება თუჯის, ფოლადის, ნაგლინის, ლითონის მილების, კოქსის, მანგანუმის მადნის, ქვანახშირის, მინერალური სასუქების, ცემენტის, შიფერის, შალისა და ბამბის ქსოვილების, ტრიკოტაჟის საცვლების, ხორცის, კარაქის, ნატურალური, დაფასოებული, ხარისხოვანი ჩაის, მცენარეული ზეთისა და სხვა ნაწარმის გამოშვების გეგმა.

მთლიანი პროდუქციის წარმოების მოცულობა ნახევარ წელიწადში 1965 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 15 პროცენტით გაიზარდა. (საქდესი).

გუნების დაცვა სახალხო საქმეა

[illegible], მამულო! გრძნობა შენი მოვლისა ტყე ქმნის წყალს, წყალი — მოსავლად ყველა ჩვენთაგანის ვალია... ვალს, მოსავალი კი — სიცოცხლესო, — [illegible] უთქვამს პოეტს. და მართლაც რა [illegible] ამაზე მაღალი და კეთილშობილური [illegible]ნობა, ვიდრე ამის ღრმა შეგნება, [illegible] მოვალე ხარ უფლიდე მამულს, ახ[illegible]დე ნერგს, იცავდე შშობლიურ ბუ[illegible]ს!

ტყე სამშობლოს ჯანსაღი ფილტვებია [illegible] მაშასადამე, თვითეული ჩვენგანს მარ[illegible] მისთვის ზრუნვა. არავინ არ უნდა [illegible]ურებდეს მას, როგორც მხოლოდ მერ[illegible] მომცემს. ტყე ჩვენი მიწის მშვენე[illegible] სამკაულია, ქვეყნის უძვირფასესი [illegible]ენ. ტყეს რომ ვიცავთ, ამით ნია[illegible]ც ვიცავთ გვალვისაგან, ვაჯანსა[illegible] მაერს, ვარეგანურებთ წყაროების [illegible]ებს, გზას ვუღობავთ ნიადგრებს, ვა[illegible]ზებთ ჩვენი ქვეყნის ლანდშაფტს, [illegible]ომიერებთ ზაფხულისა და ზამთრის [illegible]ატურას...

[illegible]ტყის, ნიადაგის, წიაღისეულის, წყლის, [illegible]ენისა და სხვათა დაცვა, მოვლა და [illegible]ალურად გამოყენება მუდამ დიდ[illegible]ზენელოვან საქმედ მიაჩნდა ქართველ [illegible]ებს, რადგან ტყეში, საქართველოს ბუ[illegible]ში იგი ხედავდა თავის მოკავშირეს [illegible]ცავითს ბრძოლებში. დღეს ბუნების [illegible]ვამ ნამდვილი საყოველთაო-სახალხო [illegible]ათ მიიღო.

[illegible]ვითეული ადამიანი ტყეს, მწვანე ნა[illegible]ს უნდა უყურებდეს როგორც ქვეყ[illegible]ნეგი ადამიანისათვის ზრუნვაა.

[illegible]ქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს [illegible]ე სესიამ, რომელმაც ამას წინათ [illegible]მთავრა მუშაობა, განიხილა საკითხი [illegible]ართველოს სს რესპუბლიკაში ბუნე[illegible] დაცვის" 1958 წლის 28 ნოემბრის [illegible]ნის შესრულების მიმდინარეობის [illegible]ბებ და მიიღო შესაბამისი დადგენი[illegible].

[illegible]ქმედმა კანონმა დიდი როლი შეას[illegible] რესპუბლიკის ბუნებრივ სიმდიდ[illegible] დაცვის, მოვლის, კეთილგარმოები[illegible] და მათი გონივრულად გამოყენების [illegible]ში. ამუამად რესპუბლიკის ტერი[illegible]ის 36,7 პროცენტი ტყით არის [illegible]ული, ხოლო ტყის ფონდის 97 [illegible]ენტი მთის ტყეებს უჭირავს. გან[illegible]ებული ყურადღება ექცევა საქ[illegible]ელოს ტყეების მოვლისა და დაცვის, [illegible]ების განახლების საქმეს. პარტიისა [illegible]მავრობის დიდმნიშვნელოვან ღო[illegible]ებათა გატარებით მთელი ხალხის [illegible]ქმედებითი ინიციატივით ირგვე[illegible]ონობით ხე და ბუჩქი, შენდება [illegible]ტყეები, გაძლიერდა ტყეების აღდგე[illegible]ბა. ამუამად რესპუბლიკის ტერი[illegible] 36,7 პროცენტი ტყით არის [illegible]ული, ხოლო ტყის ფონდის 97 [illegible]ენტი მთის ტყეებს უჭირავს. გან[illegible]ებული ყურადღება ექცევა საქ[illegible]ელოს ტყეების მოვლისა და დაცვის, [illegible]ების განახლებას საქმეს. პარტიისა [illegible]მავრობის დიდმნიშვნელოვან ღო[illegible]ებათა გატარებით მთელი ხალხის [illegible]ქმედებითი ინიციატივით ირგვე[illegible]ონობით ხე და ბუჩქი, შენდება [illegible]ტყეები, გაძლიერდა ტყეების აღდგე[illegible]ბა. ამუამად რესპუბლიკის ტერი[illegible]ის 36,7 პროცენტი ტყით არის [illegible]ული, ხოლო ტყის ფონდის 97 [illegible]ენტი მთის ტყეებს უჭირავს. გან[illegible]ებული ყურადღება ექცევა საქ[illegible]ელოს ტყეების მოვლისა და დაცვის, [illegible]ების განახლებას. ეს საქმე [illegible]მავრობის დიდმნიშვნელოვან ღო[illegible]ებათა გატარებით მთელი ხალხის [illegible]ქმედებითი ინიციატივით ირგვე[illegible]ონობით ხე და ბუჩქი, შენდება [illegible]ტყეები, გაძლიერდა ტყეების აღდგე[illegible]ბა. ამუამად რესპუბლიკის ტერი[illegible]ის 36,7 პროცენტი ტყით არის [illegible]ული, ხოლო ტყის ფონდის 97 [illegible]ენტი მთის ტყეებს უჭირავს. გან[illegible]ებული ყურადღება ექცევა საქ[illegible]ელოს ტყეების მოვლისა და დაცვის, [illegible]ების განახლებას. ეს საქმე [illegible]

პარტიული ცხოვრება

ახალი ხუთწლედის შესახებ XXIII ყრილობის დირექტივების გამოქვეყნებისთანავე ქობულეთის რაიონის კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები შეუდგნენ თავიანთი ხუთწლედების დაგეგმვას.

რა გამოუყენებელი რეზერვები აქვთ ჩვენს საზოგადოებრივ მეურნეობებს, როგორ ავამოქმედოთ ისინი, რომ მკვეთრად გავადიდოთ პროდუქციის წარმოება და სრულფასოვანი გავხადოთ შრომის ანაზღაურება, — ასე მსჯელობენ კომუნისტები, ყველა მშრომელნი, რომლებიც ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად ილვწიან.

ქობულეთის რაიონის მშრომელებს საუკეთესო ტრადიცია აქვთ — სახელმწიფო დავალებები შუდამ ვადამდე დიდი გადამეტებით შეასრულონ. ამის ნათელი დადასტურება იყო განვლილი ხუთწლედები და შვიდწლედი, რომელებმაც რაიონს მთლიანად შეუცვალა სახე. ახლა აქ პატარა ნაკვეთსაც ვერ ნახავთ უნაყოფოდ. მაღლობები და დაბლობები დფარულია ძვირფასი სუბტროპიკული კულტურებით. საითაც გაიხედავთ, ყველგან საკოლმეურნეო ცხოვრების მძლავრი მაჯისცემა იგრძნობა.

რამდენიმე ფაქტი.

ჩვენმა მეჩაიე კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა შვიდწლედის მანძილზე აწარმოეს და სახელმწიფოს მიჰყიდეს 145,5 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი, რაც გეგმაზე 10 ათასი ტონით მეტია. ამ ხნის მანძილზე შეგვემატა 535 ჰექტარი ჩაის ახალი პლანტაცია. გასული წლის 15 სექტემბრისათვის შევასრულეთ ჩაის კრეფის წლიური დავალება, ხოლო შემდეგ ვალდებულების ანგარიშში 1.000 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი მოვკრიფეთ. ქობულეთელმა მეჩაიეებმა საშუალოდ ჰექტარზე მოიყვანეს 5.441 კილოგრამი მოსავალი.

განსაკუთრებით მაღალ მაჩვენებლებს მიაღწიეს ამ მხრივ ბობოყვათის, ხუცუბნის, ალამბრისა და სხვა სოფლების კოლმეურნეობებმა. ოჩხამურის საბჭოთა მეურნეობაში საშუალოდ ჰექტარზე მიღებულ იქნა 6 ათას კილოგრამზე მეტი ჩაის მწვანე ფოთოლი.

შვიდწლედში ნაყოფიერად იშრომეს ქობულეთელმა მეცეტრუსეებმაც. ციტრუსოვანთა ნარგავებისათვის 1963-1964 წლების ხუსხიანი ზამთრის მიერ მიყენებული დიდი ზიანის მიუხედავად რაიონის მშრომელებმა ყველა ზომა მიიღეს იმისათვის, რომ დროულად მოეშუშებინათ მათთვის ეს ჭრილობები. ციტრუსების დამზადების შვიდწლიანი გეგმა 117 პროცენტით შესრულდა, ხოლო შარშანდელი ვეგმა — 160 პროცენტით. ეს წარმატებები მოპოვებულია იმ დიდი ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შედეგად, რასაც პირველადი პარტიული ორგანიზაციები ეწევიან მშრომელთა დასარაზმავად სასოფლო-სამეურნეო წარმოების ახალი აღმავლობისათვის. 3 ათასამდე კომუნისტი, რომლებიც გაერთიანებულნი არიან 145 პირველადს პარტიულ ორგანიზაციაში, დიდ ძალას წარმოადგენს. ისინი პირადი მაგალითით ალაფრთოვანებენ და წინ მიუძღვიან ათეულ ათასობით უპარტიო მშრომელს. რაიონში ვვყავს მრავალი მოწინავე ადამიანი, შუქურები, რომლებმაც თავდადებული შრომით საკვეყნოდ გაითქვეს სახელი. მარტო ისიც მრავალმეტყველია, რომ ცნობილ სელექციონერს, აკადემიკოს ქსენია ბახტაძეს, ქაქუთის კოლმეურნეობის მოწინავე მეჩაიეს ემინე ზაქარიაძეს და ბობოყვათის კოლმეურნეობის ახალგაზრდა მეჩაიეს ქეთო გოგიტიძეს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მუშაკთა დიდ ჯგუფთან ერთად სოციალისტური შრომის გმირის მაღალი წოდება მიეკუთვნათ.

დიდი და საპატიო ამოცანები დგას სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1966-1970 წლების ხუთწლიანი გეგმით რაიონის მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და კულტურული მშენებლობის წინაშე.

მაგრამ ეს განსაკუთრებით ითქმის რაიონის მრავალდარგოვან სოფლის მეურნეობასა და, კერძოდ, მის წამყვან დარგზე. — მეჩაიეობაზე. 1966 წელს რაიონის მშრომელებმა უნდა მოკრიფონ და სახელმწიფოს ჩაბარონ 23.500 ტონა ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი, 3.080 ტონა მოუხეშო და უხეში ფოთოლი, 4.246 ტონა საკოფეინე მასალა, საშუალოდ ჰექტარზე უნდა მიიღონ 5.500 კილოგრამი ჩაის ნედლეული. 1970 წლისათვის კი ჩაის მწვანე ფოთლის წარმოებას აიყვანენ 25.158 ტონამდე, ე. ი. ხუთწლედში ჩაის წარმოებას 2.146 ტონით გაზრდიან.

მეჩაიეობის დარგში ახალი მიჯნების აღება განსაკუთრებით ენერგიულ შრომას, დიდ ორგანიზატორულ და პოლიტიკურ მუშაობას, მოწინავე მეჩაიეთა გამოცდილების ფართოდ განზოგადებასა და მეცნიერების მიღწევების ფართოდ დანერგვას მოითხოვს.

ციტრუსოვანთა ნაყოფის წარმოება 1970 წლისათვის აყვანილ უნდა იქნას 28.300 ტონამდე 1965 წელს წარმოებული 15.615 ტონის ნაცვლად. ამ ამოცანის გადასაწყვეტად პლანტაციებში ყოველწლიურად შეტანილ უნდა იქნას 50 ათას ტონამდე ტორფ-კომპოტი და ნაკელი. გამეჩხერებული პლანტაციების შესავსებად დაირგვება 193 ათასამდე ძირი ნერგი, გაყვანილ იქნება სპპლანტაციო გზები, გაშენდება ჯარსაცავი ზოლები და სხვ. კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები გარკვეულ მუშაობას ეწევიან ციტრუსოვანთა მავნებლების წინააღმდეგ. საამისოდ მოიმარაგეს მანქანა-აპარატები და შხამქიმიკატები.

ახალ ხუთწლედში რაიონის სოფლის მეურნეობის მთავარ ამოცანად კვლავ რჩება მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების მნიშვნელოვნად გადიდება, შრომის ნაყოფიერების ამაღლება, თვითღირებულების საგრძნობლად შემცირება. წამყვანი დარგების პარალელურად განვითარებთ ისეთ დარგებს, როგორიც არის მეცხოველეობა, საკუთრებით ითქმის ფოთლის კრეფაზე. ამიტომ სულ უფრო მეტი მამაკაცი ეუფლება ამ საქმეს.

ჩვენში ფართოდ ინერგება ჩაის მექანიზებული კრეფა. წელს პლანტაციებში 30 ჩაის საკრეფი მანქანა „საქართველო“ მუშაობს. ისინი 245 ჰექტარზე აიღებენ ჩაის მწვანე ფოთლის მოსავალს.

რაიონის კომუნისტთა, ყველა მეჩაიის მიზანია ივნისის ბოლომდე მოკრიფონ ჩაის ფოთლის წლიური გეგმის სულ ცოტა 65 პროცენტი. ამ მიზნის მისაღწევად ყველაფერი კეთდებოდა და კეთდება. თვითეულმა დაწესებულებამ, ორგანიზაციამ, მოსამსახურემ, დიდმა თუ პატარამ იცის თავისი ადგილი საყოველთაო-სახალხო ლაშქრობაში. ამ საქმეში დაწინაურდნენ ქვედა აჭყვის, ზედა აჭყვის, ციხისძირის, ჩაისუბნის კოლმეურნეობები, ჩაქვისა და ოჩხამურის ჩაის საბჭოთა მეურნეობები. ახლა რაიონში ყოველდღიურად იკრიფება 450-480 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

მიმდინარე წელს კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა იკრიფეს მოიყვანეს 23.500 ტონა, ხოლო 1970 წელს — 52.158 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი. ისინი ხუთწლედის პირველ წელს აწარმოებენ 13.14 ათას, ხოლო 1970 წელს — 28.300 ტონა ციტრუსოვანთა ნაყოფს, ე. ი. თითქმის ორჯერ მეტს. ვიდრე შარშან, სამშობლოს მისცემენ დიდძალ ზეგეგმით ხორცს, კვერცხს, აბრეშუმის პარკს, ტუნგოს, ხილსა და სხვა პროდუქტებს.

ხუცუბნის, ჩაისუბნის, ციხისძირის, ქვედა ულიანოვკას, ქაქუთის კოლმეურნეობების, ოჩხამურის, ჩაქვის, ჯიბანჯურის, მუხაესტატეს საბჭოთა მეურნეობების პირველადი პარტიული ორგანიზაციები უნარიანად უდგანან სათავეში მასების შემოქმედებითს აქტივობას, სულ უფრო ფართოდ აჩაღებენ სოციალისტურ შეჯიბრებას.

მაგრამ ამასთანავე არ შეიძლება თვალი ავარიდოთ ისეთ ფაქტებსაც, როცა ზოგიერთი პარტიული ორგანიზაცია ვერ ასრულებს შშრომელთა დამრაზმველის როლს, არ ახორციელებს სამეურნეო საქმიანობისადმი კონტროლის უფლებას, ურიგდება ჩამორჩენას, ნაკლოვანებებსა და დარღვევებს.

წარმოება და კომუნისტები

ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი იმისათვის, რომ კიდევ უფრო გალამაზდეს და კეთილმოწყობიდეს ჩვენი სოფლები, ამაღლდეს მოსახლეობის კულტურული დონე. მშრომელთა ხალხმრავალ კრებებზე შეიტანეს მთელი რიგი წინადადებები, რომელთა განხორციელება გარდაქმნის და სახეს შეუცვლის ჩვენს სოფლებს. მაგალითად, ციხისძირელმა კოლმეურნეებმა მიზნად დაისახეს ხუთწლედის პერიოდში ააშენონ კულტურის სასახლე, საშუალო სკოლის ახალი შენობა, 50 კილომეტრზე გაიყვანონ წყალსადენი. მათ რაიონის სხვა კოლმეურნეობებს მიმართეს მოწოდებით ფართოდ გააჩაღონ საყოველთაო-სახალხო შეჯიბრება ხუთწლედის პირველი წლის დავალებათა სასახელოდ შესრულებისათვის. ციხისძირელთა დევიზია მოიყვანონ უხვი მოსავალი რაც შეიძლება ნაკლები დანახარჯებით.

ამ პატრიოტულ თაოსნობას ფართოდ გამოეხმაურა ყველა კოლმეურნეობა. ქვედაულიანოვკელებმა ვალდებულება იკისრეს ააგონ სკოლის კაპიტალური შენობა 620 მოსწავლისათვის, კულტურის სახლი 700 მაყურებლისათვის. დიდი სამუშაოება დაგეგმეს ლეღვას, ალამბრის, ბობოყვათის, ხუცუბნისა და სხვა სოფლების კოლმეურნეობებმა.

ქობულეთი შავიზღვისპირეთის ერთ-ერთი შესანიშნავი საკურორტო ადგილია. ჩვენთან ყოველწლიურად ისვენებს ათეულ-ათასობით მშრომელი. რაიონის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები თავიანთ ერთ-ერთ პირველი რიგის ამოცანად თვლიან დამსვენებელთათვის საუკეთესო პირობების შექმნას. ამ ხუთწლედში მნიშვნელოვანი ღონისძიებებია დაგეგმილი ჯანმრთელობის კერების შემდგომი გაფართოებისათვის. აშენდება 14-სართულიანი სასტუმრო „ინტურისტი“, ახალი სანატორიუმები და დასასვენებელი სახლები, პანსიონატი, პიონერთა საკოლმეურნეობათაშორისო ბანაკები და სხვ.

დღითიდღე ძლიერდება სოციალისტური შეჯიბრება ხუთწლედის დავალებათა შესასრულებლად. ახლა რაიონში არ არის ისეთი კოლმეურნეობა, საბჭოთა მეურნეობა და კომუნისტური მშენებლობის სხვა უბანი, სადაც არ ჩქეფდეს დაძაბული შემოქმედებითი შრომა. ნახევარი წლის შედეგები თვალნათლივ მეტყველებენ ამაზე, რომ ისინი ნაკისრ ვალდებულებებს პირნათლად შეასრულებენ და წელს ახალი მიღწევებით გაახარებენ სამშობლოს.

რ. სიოლრიძე,
საქართველოს კპ ქობულეთის რაიკომის პირველი მდივანი.

მეჯი ბოსტნეული და ხილი მშრომელებს

ზაფხულია, სწრაფად მწიფდება ბოსტნეული და ხილი, მალე დაიწყება მასობრივი კრეფა. კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა, რომლებიც წარმატებით ავითარებენ მებოსტნეობასა და მებაღეობას, ისევე როგორც შარშან, კარგი მოსავალი მოიწიეს. მაგრამ ერთია მოსავლის მოება და სხვა მისი წარმატებით დამზადება, მომხმარებლისათვის სწრაფად მიწოდება. ამ დიდმნიშვნელოვან საკითხს მიეძღვნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული „საქმთავარკონსერვხილბოსტნის“ მთავარი სამმართველოს სამეურნეო-პროფკავშირული აქტივის რესპუბლიკური თათბირი, რომელიც ამ დღეებში გაიმართა.

თათბირს დაესწრნენ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელები, დამამზადებელი და სავაჭრო ორგანიზაციების მუშაკები, კვების მრეწველობის გადასამუშავებელ საწარმოთა წარმომადგენლები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები, მეცნიერები, პროფკავშირული მუშაკები.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი შ. ი. ჭანუყვაძე, რ. ი. ფრუიძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ზ. ბ. გელიავიანელი.

მოხსენება „საქმთავარკონსერვხილბოსტნის“ შარშანდელი მუშაობის შედეგებისა და 1966 წლის ამოცანების შესახებ გააკეთა სამმართველოს უფროსმა პ. ი. ხოფერიამ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებები შესრულება, რომლებიც ითვალისწინებენ ბოსტნეულისა და ხილის დამზადებისა და ეაჭრობის გაუმჯობესებას, თქვა მომხსენებელმა, კარგ შედეგებს იძლევა. შარშან „საქმთავარკონსერვხილბოსტანმა“ წარმატებით შეასრულა სოფლის მეურნეობის პროდუქციის დამზადების გეგმა. დავალებით გათვალისწინებული 281.340 ტონის ნაცვლად დამზადებულია 334.254 ტონა ბოსტნეული და ხილი. რეალიზებულია 10 ათასი ტონით მეტი პროდუქცია, ვიდრე წინა წელს. წარმატებით მიმდინარეობს დამზადება ახლაც. ივნისის მესამე დეკადის დასაწყისში სახელმწიფო ბაზებში მიღებული დაახლოებთ 13 ათასი ტონა ბოსტნეული — ერთიორად მეტი, ვიდრე გასული წლის ამავე პერიოდში. დიდი გადაჯარბებით არის შესრულებული აგრეთვე ხილის შესყიდვის ხუთი თვის გეგმა.

დიდი მუშაობა ხორციელდება დამამზადებელი ბაზების მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვისათვის. შენდება ხილისა და ბოსტნეულის დიდი საცავები, მაცივრები, ახალი საკონსერვო ქარხნები, იხსნება სპეციალიზებული მაღაზიები.

მაგრამ ხილისა და ბოსტნეულის დამზადებისა და ეაჭრობის საქმეში სერიოზული ნაკლოვანებებია. ხორციელდება რადიკალური ღონისძიებანი, რომელთა მიზანია დამამზადებელი და სავაჭრო ორგანიზაციების საქმიანობის მკვეთრი გაუმჯობესება.

შარშან მთელმა რიგმა საკონსერვო ქარხნებმა (მაგალითად, ქუთაისის, გარდაბნის, ბათუმის, თბილისის № 1 და № 2 ქარხნებმა) წარმატებით შეასრულეს მზა პროდუქციის გამოშვების დავალება. მაგრამ მთლიანად რესპუბლიკის საკონსერვო მრეწველობამ წლიური გეგმა 81.6 პროცენტით შეასრულა.

„საქკონსერტრესტის“ მმართველმა რ. ყურტაშვილმა, „აჭარხილბოსტნის“ სამმართველოს უფროსმა ლ. წულუკიძემ, ქუთაისის საკონსერვო ქარხნის მუშამ ლ. ბანცაძემ, „თბილხილბოსტანეაჭრობის“ მმართველმა ვ. ფალავანდიშვილმა, მებოსტნეობა-მერძეულეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტის მმართველმა დ. შარამიძემ, გარდაბნის მერძეულეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა ძ. ხიალიძემ, „აფხაზხილბოსტნის“ სამმართველოს უფროსმა გ. კოკაიამ, სამხრეთ ოსეთის საოლქო „ხილბოსტნის“ სამმართველოს უფროსმა ა. გაგლოევმა და სხვებმა თავიანთ სიტყვებში აღნიშნეს, რომ საჭიროა სანიმუშოდ, მოკლე დროში დაამზადონ ბოსტნეული და ხილი, უფრო სრულად დააკმაყოფილონ მშრომელთა მოთხოვნილებანი ახალ და დაკონსერვებულ პროდუქტებზე.

თამამად შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ წარმატებით ვწყვეტთ ბოსტნეულისა და ხილის წარმოების პრობლემას. თბილისს, რუსთავისა და სხვა სამრეწველო ცენტრების მახლობლად, რესპუბლიკის კურორტების ზონებში შექმნილია დიდი სპეციალიზებული საბჭოთა მეურნეობები, რომლებიც გახდნენ ბოსტნეულის, ხილის, სუფრის ყურძნის, რძის წამყვანი მომწოდებლები. შარშან რესპუბლიკაში წინა წლებთან შედარებით დამზადებულია — 101 ათასი ტონა. თავი გამოიჩინეს აგრეთვე მებაღეებმა, რომლებმაც დიდძალი სურნელოვანი ქართული ხილი მოიწიეს.

ბოსტნეულისა და ხილის დამზადება, ეაჭრობა, გადამუშავება, მომარაგება მრავალათასიანი კოლექტივის ხელშია, რომელსაც მრავალი წლის პრაქტიკა და გამოცდილება აქვს, ამასთანავე, როგორც თათბირზე აღინიშნა, ამ დიდმნიშვნელოვან საქმეში სერიოზული ნაკლოვანებებიც გვაქვს. ისეთმა დიდმა ორგანიზაციამ, როგორიცაა „თბილხილბოსტანეაჭრობა“, შარშანდელი საქონელბრუნვის გეგმა 94.2 პროცენტით შეასრულა.

ნელა შენდება ბაზები, საწყობები, ბოსტნეულსაცავები, სხვა ობიექტები. უფრო მეტიც, დამზადების დამდეგისათვის მთლიანად ბარარის ხოლმე მზად მისაღები პუნქტები, საწყობები. ტარისა და შესაფუთავი მასალის მაკაზიებში, ბაზრებში, რკინიგზის სადგურებში პროდუქტების შეუფერხებელი გადაზიდვისათვის ტრანსპორტის მომზადების შესახებ ზშირად მაშინ ფიქრობენ, როცა გაცხოველებული გადაზიდვა იწყება.

მომხმარებელი მოითხოვს, რომ მაღაზიებში, კიოსკებში, ფარდულებში ბევრი და ახალი ბოსტნეული და ხილი იყოს, დაისეა საკითხი იმის შესახებ, რომ საკოლმეურნეო ბაზრებზე „თბილხილბოსტანეაჭრობამ“ წამყვანი ადგილი დაიკავოს.

მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის ბევრ მაღაზიებში ბოსტნეულს იღებენ პირდაპირ საგარეუბნო კოლმეურნეობებიდან და საბჭოთა მეურნეობებიდან, ბაზებისა და საწყობების გაუვლელად. ოდესასა და უკრაინის ზოგიერთ სხვა ქალაქში მოქმედებს დიდი ბოსტნეულის კომბინატები. ისინი მეურნეობებიდან მასობრივი რაოდენობით ღებულებენ ბოსტნეულს და აწვდიან სპეციალიზებულ მაღაზიებს. კომბინატებში შექმნილია საამქროები არასტანდარტული პროდუქციის გადამუშავებისა და ნარჩენების უტილიზაციისათვის. ეს პროგრესული მეთოდები საჭიროა, რაც შეიძლება ფართოდ დაინერგოს ჩვენში. პრაქტიკაში უნდა შემოვიღოთ ბოსტნეულის, კარტოფილის, ხილის ბინ ბატონ მომხმარებლის მიმ[illegible] ლეობა საგულ[illegible] გულოდ შეამ[illegible] ბინ[illegible] ბინ[illegible] ბინ

საერთაშორისო ცხოვრება

კატრიოტთა წარმატებანი

პარიზი. (საკდესი). საიგონის სამხრეთ-დასავლეთით 77 კილომეტრზე კინკუანის სამხედრო ბანაკის მახლობლად სამხრეთ ვიეტნამის მარიონეტული ჯარების ორი ოცეული წააწყდა აქ ჩასაფრებულ პარტიზანებს და დიდი ზარალი განიცადა.

საიგონის ჩრდილო-აღმოსავლეთით 550 კილომეტრზე, სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების არმიის მებრძოლებმა დღეს შეუტიეს საიგონის ჯარების საგუშაგოს. როგორც ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი იუწყება საიგონიდან, დაირღვა კავშირი საგუშაგოსთან, ხოლო გარნიზონს დაუხოცეს და დაუჭრეს ბევრი ჯარისკაცი.

◆

ჩამოგდებულია 1134 ამერიკული თვითმფრინავი

ჰანოი. ვიეტნამის სახალხო არმიის მებრძოლებმა და მოლაშქრეებმა 25 ივნისს ქალაქ ვინში ჩამოაგდეს ამერიკის თვითმფრინავი. ამერიკის შეერთებული შტატების მეორე თვითმფრინავი ჩამოგდებულია ხომნის კუნძულზე. დაუსტაბული ცნობებით, 16 და 19 ივნისს ნგეანის პროვინციაში ჩამოაგდეს ამერიკის შეერთებული შტატების ავიაციის კიდევ ორი თვითმფრინავი. ამრიგად, 25 ივნისისათვის ვიეტნამის დემოკრატიული რეგიუბლიკის ტერიტორიაზე ჩამოგდებულია 1134 ამერიკული თვითმფრინავი.

◆

გემთფლობელები თმობენ პოზიციებს

ლონდონი. ინგლისის გემთფლობელები თანდათან თმობენ პოზიციებს გაფიცულ მეზღვაურებთან ბრძოლაში. ინგლისის გემთფლობელთა ფედერაციამ საკვანძო ფლოტის გაფიცულ მეზღვაურებს შესთავაზა მათი ყოველწლიური შვებულების ხანგრძლივობა გაადიდოს 9 დღით. მეზღვაურთა ეროვნული პროფკავშირის აღმასრულებელმა კომიტეტმა გადაწყვიტა მიიღოს ეს წინადადება საფუძვლად და დაიწყოს მოლაპარაკება გემთფლობელებთან ძირითადი მოთხოვნების დაკმაყოფილების შესახებ.

◆

მდგომარეობა კვიპროსში

ნიუ-იორკი, გვიანის პარლამენტმა ნახევარი წლით გააგრძელა საგანგებო წესები, რაც ჯერ კიდევ ინგლისელ კოლონიზატორთა ბატონობის პერიოდში გამოცხადდა კვიპროსში. ჯორჯტაუნიდან მიღებულ ცნობებში აღნიშნულია, რომ მთავრობა აპირებს აგრეთვე გამოსცეს მთელი რიგი დეკრეტები, რომლებიც საშუალებას მისცემენ მას ბრალდების წაუყენებლად აწარმოოს დაპატიმრება და გააძლიეროს სახალხო-პროგრესული პარტიის დევნა.

◆

პ. პარდედეს სიკვდილი მიუსაჯეს

ლონდონი, (საკდესი). მედანის (ჩრდილოეთი სუმატრა) სამხედრო ტრიბუნალმა სიკვდილი მიუსაჯა ინდონეზიის კომუნისტური პარტიის პოლიტბიუროს წევრს პ. პარდედეს. ამას იტყობინება სინგაპურიდან რეიტერის საგენტოს კორესპონდენტი, რომელიც იმოწმებს ჯაკარტის რადიოს.

◆

განაჩენი ბრაზილიის სამხედრო მეზღვაურებს

რიო-დე-ჟანეირო. ბრაზილიის სამხედრო ტრიბუნალმა 283 სამხედრო მეზღვაურს, რომლებსაც ბრალდებოდათ 1964 წლის 23 მარტის „ამბოხი", მიუსაჯა საერთო ანგარიშით 1.280 წლის პატიმრობა.

„ამბოხს" სასამართლო უწოდებს მიტინგს მეტალურგთა პროფკავშირის სასახლეში, რომელიც 1964 წლის 23 მარტს გაიმართა. მეზღვაურები შეიკრიბნენ ამ მიტინგზე, რათა აღენიშნათ საზღვაო ქვეითი ჯარის ასოციაციის შექმნის მეორე წლისთავი. მათ სარდლობას წარუდგინეს მთელი რიგი მოთხოვნები, უმთავრესად ეკონომიური.

სამყაროს ყურადღების ცენტრში

უცხოეთის პრესა სსრ კავშირში პრეზიდენტ დე გოლის ვიზიტის შესახებ

◆

საზღვარგარეთის პრესა კვლავ ფართოდ განმარტავს სსრ კავშირში საფრანგეთის პრეზიდენტის დე გოლის ვიზიტს. იაპონიის გაზეთები დღეს წერენ, რომ საფრანგეთის პრეზიდენტი ეწვია აკადემიურ ქალაქს ნოვოსიბირსკის მახლობლად, შეხვდა საბჭოთა მეცნიერებსა და ნოვოსიბირსკის მშრომელებს. გაზეთები გამოჰყოფენ საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრის კუვ დე მიურვილის სიტყვებს იმის შესახებ, რომ სსრ კავშირი და საფრანგეთი ერთი აზრისანი არიან ვიეტნამის პრობლემასა და ცივი ომის შეწყვეტაზე.

დე გოლის მოგზაურობა საბჭოთა კავშირში დასავლეთ გერმანიის პრესის კვლავ ერთ-ერთი ცენტრალური თემაა. „ფრანკფურტერ ალგემაინე" კორესპონდენციაში, რომელიც დასათაურებულია: „რუსები უჩვენებენ დე გოლს: ევროპა არ მთავრდება ურალთან" ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საბჭოთა ხალხი საფრანგეთის პრეზიდენტს ძალიან გულთბილად ხვდება.

დე გოლის ნოვოსიბირსკში ყოფნას მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობენ ამერიკის გაზეთები „ნიუ-იორკ ტაიმსი" და „ნიუ-იორკ დეილი ნიუსი". ისინი დაწვრილებით აღწერენ ნოვოსიბირსკს — „ციმბირის ჩიკაგოს", როგორც მას ამერიკის შეერთებულ შტატებში უწოდებენ, აკადემიურ ქალაქს, დე გოლის შეხვედრებს მეცნიერებთან და მუშებთან.

დღეს არგენტინის გაზეთები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ეს ვიზიტი ისტორიული მოვლენაა სსრ კავშირისა და საფრანგეთის ურთიერთობაში. არგენტინელები გულდასმით ადევნებენ თვალყურს იმას, აღნიშნავენ გაზეთები, თუ როგორ იძლევიან გონივრული თანამშრომლობის კარგ მაგალითს პირველი სოციალისტური სახელმწიფო და ბურჟუაზიული რესპუბლიკა. „იანკის სამხედრო სტრატეგიის მთავარი ნაწილი ევროპაში ჩაიფუშა, — წერს გაზეთი „პროპოსიტოსი". — საფრანგეთი, ჯონსონის დრამატული განცხადების მიუხედავად, თავაზიანად, მაგრამ ამავე დროს მტკიცედ გამოვიდა ნატოს სამხედრო ორგანიზაციიდან". „თუ დე გოლის ვიზიტი ხელს უწყობს აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის დაძაბულობის შენელებას, მაშინ იგი ცივი ომის გამოუვალი მდგომარეობიდან გამოსვლის დაწყების დადასტურებაა", — წერს გაზეთი „ჰერალდი", რომელიც ბუენოს-აირესში გამოდის. (საკდესი).

საზღვარგარეთის გაზეთების ფურცლებზე დღეს მოთავსებულია ლენინგრადიდან მიღებული ცნობები, რომლებიც აგვიწერენ საფრანგეთის პრეზიდენტის გენერალ დე გოლის ყოფნას ამ ქალაქში. დეპეშებში ნათქვამია, რომ პრეზიდენტი დე გოლი იყო პისკარევოს სასაფლაოზე, სადაც დაკრძალულნი არიან ლენინგრადისათვის უმაგალითო ბრძოლაში დაღუპულნი, აგრეთვე ეწვია ერმიტაჟს. დასავლეთგერმანული „დი ველტი" აღნიშნავს, რომ ნევის ქალაქში საფრანგეთის პრეზიდენტს განსაკუთრებით გულთბილი შეხვედრა მოუწყვეს. „ლენინგრადის თითქმის ერთი მილიონი მცხოვრები გამოვიდა დე-გოლის შეხვედრად", წერს ნოდე რაინ-ცაიტუნგი". „ნიუ-იორკ ტაიმსმა" მოათავსა თავისი ლენინგრადელი კორესპონდენტის რეპორტაჟი გენერალ დე გოლის იქ ყოფნის პირველი დღის შესახებ.

საფრანგეთის პრესა კვლავ ფართოდ აშუქებს პრეზიდენტ დე გოლის ვიზიტს. ოფიციოზური გაზეთი „ნასიონი" ხაზს უსვამს, რომ „ორივე ქვეყანა ესწრაფვის მხოლოდ შესაძლოსა და გონივრულს". „ყველაზე მთავარია, — გაზაგრძობს გაზეთი, — საფრანგეთისა და საბჭოთა კავშირის ერთობლივი მოქმედება, კონტაქტების განვითარება. და სწორედ აქ შეუძლია „ახალ კავშირს", რომელზეც დე გოლი ესაუბრა მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტებს, ახალი პერსპექტივები დაუსახოს ევროპას".

უენევიევა ტაბუი „პარი-რ'ურში" აღნიშნავს, რომ უცხოეთის სხვა დედაქალაქებში დიდ ინტერესს იჩენენ გენერალ დე გოლის ვიზიტისადმი. „ამ ვიზიტის უკვე გამოვლინებული შედეგები, წერს მიმომხილველი, — არ შეიძლება ჯეროვნად არ შეაფასონ როგორც ევროპაში, ისე მის ფარგლებს გარეთაც".

იაპონური „ნიხონ კეიძაი" მიაჩნია, რომ საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის მოლაპარაკება, ეჭვი არ არის, შეიტანს წვლილს მშვიდობის საქმის, შემდგომ განმტკიცებაში.

საშიში შეთანხმება

ბეირუთი. (საკდესი). მეფე ფეისალის ვაშინგტონში მოლაპარაკების შედეგად მოხდა „ეგრეთ წოდებული „კომუნისტური საფრთხის" წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის სრული შეთანხმება". არაბთა განმათავისუფლებელი მოძრაობის წინაშე წარმოიშვა იმპერიალიზმის იმ ახალ შეთქმულებათა საფრთხე, რომელთა მიზანია, ოღონ არაბეთ სამყაროში „მოაწესრიგონ" მდგომარეობა ნავთობის მონოპოლიათა ინტერესებისათვის", — წერს ლიბანის ყოველკვირეული გაზეთი „ალ-აპბარი".

„მეფე ფეისალის შეთანხმება ამერიკის იმპერიალიზმთან, — გაზაგრძობს გაზეთი, ამერიკის შეერთებული შტატების ინიციატივით ხდება. ამერიკელები არ ფარავენ თავიანთ განზრახვებს არაბული აღმოსავლეთის მიმართ. ამ რაიონში ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკას ცხადყოფს იარაღის მიწოდება ისრაელისათვის, საუდის არაბეთისა და იორდანიისათვის".

ქ. სამგუს გადაეცა საერთაშორისო ლენინური პრემია

ულან-ბატორი, 25 ივნისი. (საკდესი). სახალხო მონღოლეთის თვალსაჩინო საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწეს, მონღოლეთის სახალხო ხელოვნების ერთ-ერთ ცნობილ ფიგურას, ქალბატონ ქ. სამგუს, — ლენინური პრემიის „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის" საერთაშორისო ლენინური პრემია.

„ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის" საერთაშორისო ლენინური პრემიების კომიტეტის თავმჯდომარემ აკადემიკოსმა დ. ვ. სკობელცინმა მიულოცა ლაურეატს სპასტიო ჯილდო ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისა და თანამშრომლობის საქმეში — შეტანილი წვლილისათვის და გადასცა ლაურეატის დიპლომი და მედალი.

კრებაზე სიტყვა წარმოთქვა ქ. სამბუმ, რომელსაც შეერეოლნი გულთბილად შეხვდნენ. ლენინური პრემიით ჩემი დაჯილდოება ბალაი შეფსებია იქ დიდი წვლილისა, რომელიც ჩვენ სახალხო-რევოლუციურ პარტიასა და სახალხო სახელმწიფოს, ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრიობას შეაქვს ხალხთა შორის მშვიდობისა და ეგზეგბრობის განმტკიცების საქმეში.

ქ. სამბუმ განაცხადა, რომ დიდი კმაყოფილებით გადასცეს ფულად პრემიას, ოთმელაც ეკუთვნის როგორც ლაურეატს, სახელმწიფო ფონდს, ოთ ეს სასსრებ მოხმარდეს საბავშვო დაწესებულებებს.

დასასრულ ქ. სამბუმ დეეგრძელობა უსურვა მონღოლი და საბჭოთა ხალხების მარადიულ მეგობრობასა და ძმურ თანამშრომლობას, მშვიდობას მთელ მსოფლიოში.

◆

მთელი მსოფლიოს პროგრესული საზოგადოების რისხვასა და ზიზღს იწვევს ამერიკის შეერთებული შტატების აგრესია ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ. მრავალ ქვეყანაში, და მათ შორის კაპიტალისტურ ქვეყნებშიც ხშირად იმართება საპროტესტო დემონსტრაციები, რომლებზეც სასტიკად გმობენ ამერიკელ მილიტარისტებს.

სურათზე, რომელიც თქვენს წინაშეა, ავსტრალიის ქალაქ პერტში მომხდარი ინციდენტია აღბეჭდილი. ავსტრალიის დასავლეთ სანაპიროზე გაიმართა დემონსტრაცია, მიმართული იმის წინააღმდეგ, რომ ავსტრალია მონაწილეობს ამერიკის სამარცხვინო აგრესიულ მოქმედებაში. თქვენ ხედავთ თუ როგორ უსწორდება პოლიცია ჰიპუს. იგი დააპატიმრეს და ახლა პოლიციელთა მანქანისაკენ მიათრევენ. დაკავებულს ხელში აქვს პლაკატი წარწერით — „შეწყვეს ომი ვიეტნამში!".

ტელეფოტო აპ-სკდესისა.

„მერედიტის მარშის" დამთავრდა

ნიუ-იორკი, 27 ივნისი. (საკდესი). ათასობით ამერიკელი ზანგი შეეყოთდა გუშინ „მერედიტის მარშა", როცა მან ძიაღწია თავის საბოლოო მიზანს — მისისიპის შტატის დედაქალაქ ჯექსონს. როცა ჯეიმს მერედიტმა ოცდაორი დღის წინათ დაიწყო ეს მარში, მონაწილეობას იღებდა სულ ხუთი კაცი. დღეს მარშის მოხაწილეა 25.000 კაცი. ჯეიმს მერედიტს, მარტინ ლუთერ კინგისა და მოქალაქეობრივ უფლებათათვის მოძრაობის სხვა ხელმძღვანელთა მეთაურობით მარშის მონაწილეებმა ჩაიარეს ქალაქის მთავარ ქუჩებში და გაჩერდნენ შტატის საკანონმდებლო კრების შენობასთან, სადაც იდგნენ ეროვნული გვარდიის ხიშტებმოძარჯვებული ჯარისკაცები. აქ გაიმართა მარშის მონაწილეთა მასობრივი მიტინგი, რომელზეც გამოვიდა ჯეიმს მერედიტი. მან დაკმა რასობრივი დისკრიმინაცია და მოიწოდა ამერიკის შეერთებული შტატების ყველა ზანგს დაიცვან თავიანთი მოქალაქეობრივი უფლებები.

ამავე დროს შეერთებული შტატების დედაქალაქ ვაშინგტონში გაიმართა „მერედიტის მარშის" მონაწილეებთან სოლიდარობის დემონსტრაცია. ათასამდე კაცმა მოაწყო მიტინგი პარკში თეთრი სახლის პირდაპირ.

◆

„მერედიტის მარშის" დასასრული

ნიუ-იორკი, 27 ივნისი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა გუს ჰოლმა პრეს-კონფერენციაზე განაცხადა, რომ პარტიის XVIII ყრილობა დიდმნიშვნელოვანი ნიშანსვეტია ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. კომუნისტური პარტია, თქვა მან, სულ უფრო მნიშვნელოვანი პოლიტიკური ფაქტორი ხდება მუშათა და პროფკავშირულ მოძრაობაში, მოქალაქეობრივ უფლებათათვის მოძრაობაში, მშრომელთა საარსებო ინტერესებზე მონოპოლიების შეტევის წინააღმდეგ ბრძოლაში.

გუს ჰოლმა აღნიშნა, რომ ამერიდან ამერიკელი კომუნისტები დაასახელეს თავიანთ კანდიდატებს არჩევნებში. საარჩევნო ბრძოლაში კომუნისტური პარტია ეცდება დაამარცხოს ულტრამარჯვენეები და შეაკავშიროს მასები ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეების აგრესიული პოლიტიკის წინააღმდეგ საბრძოლველად. გუს ჰოლმა და პარტიის ეროვნულმა თავმჯდომარემ ჰენრი უინსტონმა იმედი გამოთქვეს, რომ ამერიკელი ხალხი დაიცავს ამერიკელ კომუნისტთა უფლებას — იმოქმედონ როგორც ლეგალურმა პოლიტიკურმა პარტიამ და აღკვეთს მუქარას, რომელსაც მაკარენის კანონი და იუსტიციის სამინისტროს ხრიკები ქმნიან.

სსრ კავშირის მოსახლეობა

მინდანაო წლის 1 იანვარს საბჭოთა კავშირში იყო 231,9 მილიონი კაცი — 15,8 მილიონით მეტი, ვიდრე ხუთი წლის წინათ.

რევოლუციამდე — 1913 წელს ქალაქის მოსახლეობის ხვედრითი წონა შეადგენდა 18 პროცენტს. ამჟამად იგი 54 პროცენტია.

საბჭოთა კავშირში მოსახლეობის საშუალო სიმჭიდროვეა 5,6 კაცი კვადრატულ კილომეტრზე. ამასთან 9,95 მილიონ კვადრატულ კილომეტრზე მოსახლეობის სიმჭიდროვე 1959 წელს შეადგენდა ერთ კაცზე ნაკლებს. მოკავშირე რესპუბლიკებიდან ყველაზე მჭიდროდ დასახლებულია (99,9 კაცი) მოლდავეთი, ყველაზე ნაკლებად (3,9 კაცი) — თურქმენეთი.

1897 წელთან შედარებით, როცა რუსეთში მოხდა აღწერა, მოსახლეობის სიმჭიდროვე რუსეთში გადიდდა 86 პროცენტით. მაგრამ იგი განსაკუთრებით გადიდდა აღმოსავლეთ რაიონებში. უზბეკეთსა და ყაზახეთში — თითქმის ერთისამად, ყირგიზეთში — ოთხჯერ და მეტად, კრასნოიარსკის მხარეში — სამნახევარჯერ და მეტად, ომსკის ოლქში — ცხრაჯერ.

ამერიკის პოლიტიკურ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ნიშანსვეტი

ნიუ-იორკი, 27 ივნისი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის XVIII ყრილობა ეძღვნებოდა ამერიკის პოლიტიკურ ცხოვრებაში, ეკონომიკურ, სოციალურ, ეროვნულ ურთიერთობებში, ეროვნულ-განთავისუფლებისა და კულტურულ ურთიერთობის საზოგადოებასთან და ეროვნულ, საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოებასთან. ჩვენ ვიცით, თუ რა ზეგანი შეაქვთ საბჭოთა ადამიანების მშვიდობისათვის ბრძოლაში.

კოლუმბიის საზოგადო მოღვაწემ გრასიელა ბაკერომ თავისი ქვეყნის ქალთა სახელით მადლობა გადაუხადა იმისათვის, რომ შესაძლებლობა მიეცა ჩამოსულიყო ჩვენს მშვიდობიერ მხარეში — საქართველოში.

კოლუმბიის მშრომელთა პროფკავშირის კონფედერაციის სახელით ხუღიო პოვედამ საბჭოთა ადამიანებს უსურვა ბედნიერი ბედნიერ ცხოვრებისა. ნიგერიის მშვიდობის დაცვის კომიტეტის წევრი ჟოზეფ დანიანი.

ინდოეთში გაეცნენენ თბილისს, ინტერესით ეს ბაუდია „ქართული ფილმის" დოკუმენტური ლენტები. „ჩვენ საინტერესო მარტებით ვიმოგზაურეთ რესპუბლიკაში", — ეს საზღვარგარეთელმა მეგობრებმა ფილმის ნახვის შემდეგ.

მშვიდობისათვის მებრძოლთა ჭენევის შეხვედრის დელეგატები ეყვნენ საქართველოს ეროვნულ-გარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და ეკონომიკური ურთიერთობის საზოგადოებებმა. საქართველოს საზოგადოებებმა გამგეობის ეროვნული, საქართველოს მშვიდობის დაცვის ეროვნული კომიტეტის მოღვაწენი, საზოგადოებრიობისა და პრესის წარმომადგენელ-ნიგერიის მშვიდობის დაცვის კომიტეტის წევრმა ჯოზეფ დანიანმა აღნიშნა, რომ საქართველოში ყოფნისას იგი ყველგან შეხვდა ადამიანებს, ჩრდილთათვისაც მახლობელი და გასაგები თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი აფრიკელი ხალხის მისწრაფებანი.

ლათინური ამერიკისა და აფრიკის ქვეყნების მშვიდობის მომხრეებთან შეხვედრამ მეგობრობისა და გულითადობის ვითარებაში ჩაიარა.

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს სესიის მონაწილეებმა კვირადღე ყვარლის რაიონში გაატარეს.

27 ივნისს სტუმრები მოსკოვს გაემგზავრნენ. (საკდესი).

მეცნიერება — ხალხის სამსახურში

პენსიონერი გ. ჩიხლაძე (თბილისი) გვეკითხება: „გთხოვთ გვიპასუხოთ რას ნიშნავს გამოვიუანოთ მეცნიერება ისე, რომ მოგვიტანოს არა მწუხარება, არამედ სიხარული?"

◆

ეროვნული ბიბლიოთეკა

რევოლუციისათვის თავდადებული

